

მშენებელი

ფასი 4 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, 3 თვით 70 მანეთი, 6 თვით 130 მანეთი, წლიურად 250 მანეთი. წინასწარ გადახდა. მისი როგორც პირველი გაზეთი დასრულებულია. პეტიტის სტრუქტურა—2 მან. სამკლავირო განცხადება 10 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, ვოლოცინის პროსპ. № 24.



16-62

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის

ღრმად დამწუხრებულნი ვლინდებიან სიმონის ასული, სიმონ და ქეთო თითბერიძეები, ნინა ივანიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის საყვარელი შვილი და უკანასკნელთა ძმა, კვიციანი უნივერსიტეტის სტუდენტი, მე-2 არტილერიის ბრიგადის პოდპორუჩიკი

ალექსანდრა გრიგორის ქა თითბერიძე

გამოასვენებენ დღეს, 17 ივლისს, 9 საათზე ბინიდან (მიხეილის პროსპექტი ყოფილი სამხედრო სასწავლებელი) ქაშვითის ეკლესიაში. დაკრძალვა ერთე პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი ანატასია გიორგის ასული შვილებით: საშა, ვლადიმერ და თამარ ბურთუკაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის მულის შვილი და უკანასკნელთა მამიდაშვილი მე-2 არტილერიის ბრიგადის პოდპორუჩიკი

ალექსანდრა გრიგორის ქა თითბერიძე

გამოასვენებენ დღეს, 17 ივლისს, 9 საათზე ბინიდან (მიხეილის პროსპექტი, ყოფილი სამხედრო სასწავლებელი) ქაშვითის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მართა ხუბუნის ასული შალვაბერიძისა, ძმები: ერმალო და ბებუთო, დები: ოლღა და დონი. რძლები: ანიჩა და ივლიტა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრადიკულად გარდაცვალებას (ლონდონში) ძვირფასი

სილივისტრო გახვას ქა შალვაბერიძისა

გამოთხოვების დღე დანიშნული შაბათს, 17 ივლისს ს. ნაქალაქეში

გულდათუთული მშობლები ებრაჰია და ნიკოლოზ სალუქვაძეები გამოუთქმელ მსუბარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს 19 ივლისს (ან. სტილით) ნახუტურის ეკლესიაში გადახდელი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ვაჟების: სტუდენტის

ვალერიუსი და გიმნაზიელ გრიშას

სულს იოსახსენებლათ, წირვა დაიწყება ჩვეულებრივ, პანაშვიდი კი დღის 12 საათიდან.

ჯარის რეზორმა

უკანასკნელ ხდომალზე დამფუძნებელი კრება შეუდგა სამხედრო კანონ-პროექტის განხილვას. ეს განხილვა დაბურულ კარბში ხდება, კანონ-პროექტი სამხედრო საიდუმლოებას შეადგენს და პრესის არა აქვს საშუალება გააჩინოს იგი არსებითად. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავახსენოთ მკითხველებს ის პრინციპები, რომელზედაც უნდა იყოს აგებული ჯარის მოწყობა დემოკრატიულად. თვალსაზრისით. ყველა ქვეყნების სოციალისტებს ერთი და იგივე პროგრამა აქვს შემუშავებული ჯარის მოწყობის საქმეში. ეს პროგრამა ორი სიტყვით გამოიხატება—**სახალხო მილიცია**. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ხალხი უნდა მონაწილეობას ღებულობდეს სახელმწიფოს დაცვაში და ამ მიზნით ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეისწავლოს სამხედრო საქმე, მოკლე დროის განმავლობაში ჯარში იხსახულეს, მერე შინ დაბრუნდეს, მაგრამ პირველ საჭიროებისთანავე ისევ ჩაიხვეს სამხედრო მუდმივში. აისახს იარაღი და გამოცხადდეს სამშობლოს დაცველად. მთელი ხალხი სამხედრო საქმეს განიხილავს, მთელი ხალხი საჭიროებისამებრ ჯარად იქცევა, აი სამილიციო სისტემის არსება. მისი უპირატესობა სხვა სისტემასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ამნაირად მოწყობილი ჯარი აუცილებლად დემოკრატიულია, რადგან მასში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას და თანასწორად იღვწის ყოველი მოქალაქე, განურჩევლად მისი სიმდიდრისა, წოდებისა თუ სქესისა. მეორე მისი კარგი მხარე ის არის, რომ ეს სისტემა ყველაზე იაფი ჯდება. თუ კი მთელს ხალხს აქვს მიღებული სამხედრო საქმის ცოდნა და გაწოდებულია, თუ კი პირველ გასაჭირისთანავე ყოველს მოქალაქეს შეუძლიან იარაღს წამოივლონ ხელი და თავისი ეფიციენტი დაიკავონ სამშობლოს დამცველთა რიგებში, ამ პირობებში საჭირო არ არის, რომ სახელმწიფოს მუდმივ დიდი ჯარი ჰყავდეს ფაქტზე დაყენებული: სახელმწიფოსათვის

ამ სისტემის დროს საქმარისა სულ მცირედი სამხედრო ძალა. ეს სისტემა იმდენად მარტივი და სასარგებლოა, რომ მთელი კაცობრიობა მოკლევანში, იმედია, ამას დაადგება და დიდს ჯარების შენახვას ზურგს შეაქცევს. თუ ეს ასეა, ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ეცადოს დღეს ისეთი სამხედრო სისტემა შემოიღოს, რომ მომავალში რაც შეიძლება ადვილი გახდეს სამილიციო სისტემაზე გადასვლა. შეიძლება გამოჩნდეს უკემარტო სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვენ, დღესვე დაუყოვნებლივ შემოვიღოთ სამილიციო სისტემა. მაგრამ ამ სისტემის დღესვე ერთხმად შემოღება, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება: ეს სისტემა მრავალ წლის მუშაობას და ხალხის სამხედრო წრთვას მოითხოვს. მუდმივ ჯარის გაუქმება ამ პირობებში, რომლებშიც ჩვენი ცხოვრება მიმდინარეობს, თავის ხელით ყველის გამოკრა იქნებოდა ჩვენი დემოკრატიის მხრით. რაც უნდა ბევრი ნაკლულევაწება ჰქონდეს დღევანდელს ჩვენს ჯარს, მისი რყევა სამხედრო მოქმედების წუთში პირდაპირ დაუშვებელი შეცდომა იქნებოდა. მუდმივი ჯარი დღეს-დღეობით, რადგან ირგვლივ მტრები გვემუქრებიან, აუცილებელი უნდა დარჩეს, მხოლოდ ამ მუდმივ ჯარის გარდაქმნა უნდა ვაწარმოოთ ისე, რომ, ვერ ერთი, საამარ ფეხზე მდგომ ჯარში წესიერება არ შეირყეს და მეორე, ჯარიდან გამოვინდინოთ იქნეს ის ძველი სული, რომელიც თვითმპყრობელობის დროიდან დარჩა შიგ, და შეტანილ იქნეს ახალი დემოკრატიული სული. მომავალში ქვეყნიერობა დაწყობდება; სახელმწიფოები ჩამოყალიბდებიან და მოისპობა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ყველა ყველას მტრია, როდესაც ყველას თავის სიტყვების შესაზარუნებლად უბედაბრძოლა. აი მაშინ დადგება უკი სამილიციო სისტემის შემოღებისა. და თუ ჩვენი ჯარი ამ თავითვე დემოკრატიულად იქნება მოწყობი-

ლი და დემოკრატიულ სულით გამსჭვალული, სამილიციო სისტემაზე გადასვლა სულ ადვილად და უმტკივნეულოდ მოხერხდება.

როგორი „სოციალ-დემოკრატიის“?

(სომეხ დემოკრატიის საყურადღებოთ).

სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები ახლოვდება. სომეხი დემოკრატია ვალდებულია ამ არჩევნებს შეგნებულათ მოეპყრას და არ დაიფანტოს იმ მრავალ პარტიათა შორის, რომლებიც თავისი სიები წამოაყენეს. დაშინაკვანების სისასამოპრეველი ვერც ერთთან ვერ არევის, რადგან დაშინაკვანების სახე ყველასათვის აშკარაა. მაგრამ არევე-დარევე შეიძლება გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ არჩევნებში მონაწილეობას იღებს ორი პარტია სოციალ-დემოკრატიული ფორმით. ერთი გამოდის რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სახელით (№ 1); მეორე კი საქართველოს სოც.-დემოკრატიის სახელით (№ 2). რა განსხვავებაა ამ ორ პარტიას შორის? უკეთ რომ ვთქვათ, არის თუ არა მათ შორის რაიმე საერთო?—სახელის მერე არაფერი.

იმ პარტიას, რომელიც რუსეთის სოც.-დემ. პარტიის სახელით გამოდის, არაფერი საერთო არა აქვს თვით რუსეთის სოც.-დემოკრატიასთან. მან ძალით მიითვისა ეს სახელი. რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია აშკარად სდგას ერთა თვითგამორკვევის ნიღაბზე, სცნობს დანგრეულ რუსეთის ნიღაბზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს და ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას უჭერს. არა მარტო რუსეთში, არამედ ინტერნაციონალურ კონგრესებზედაც. ის პარტია კი, რომელიც ძალით მიითვისა რუსეთის სოც.-დემ. პარტიის სახელი და დღევანდელ არჩევნებში პირველ ნომრით გამოდის, სწორედ იმით გამოიეთქვა საქართველოს სოც.-დემოკრატიას. რომ ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგია, არ სცნობს კავკასიაში დაარსებულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და მთელს თავის ძალას ამ დამოუკიდებლობის დასამცობათ ხმარობს.

ძალად-მაცხონე „რუსეთის“ პარტიამ ყოველი კაცში გასწვიტა არა მარტო ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიასთან, არამედ მთელი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიასთანაც. იგი დღეს ახდელიად დგას ბალშევიკურ ნიღაბზე და მხოლოდ რაღაც თვალმომეტყობით უწოდებს თავის თავს „ს.დემოკრატიულს“, ნამდვილად კი იგი იზიარებს ყველაფერს იმას, რასაც ბალშევიკები ქადაგებენ, აღიარებს „საბჭოთა სახელმწიფოს“ დაარსების საჭიროებას, დაუყოვნებლივ შემოღებას პროლეტარიატის დიქტატურისა და დღესვე სოციალიზმის განსახორციელებლად ჩვენში საბოქალაქო ომის დაწყებას. ერთის სტუკით ეს პარტია „კომუნისტურ პარტიის“ მარხიწავს და სოც.-დემოკრატიასთან მას საერთო არა აქვს რა. მართალია, ამ პარტიის დღევანდელ „კომუნისტობას“ ისეთივე ფასი აქვს, როგორც ყოფილ რუს-ჩინოვნიკებს „კომუნისტობას“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ „სოც.-დემ.“ ფორმით შეუძლიანთ გამოსვლა ქვემარტი სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩვენში ერთადერთია, ეს ეს არის, რომელიც მიწვევადის განმავლობაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებში ებრძოდა თვითმპყრობელობას, რომელმაც ამოღენა მსხვერპლი შესწირა დემოკრატიის საქმეს, რომელმაც საქმე თვითმპყრობელობის ჩამოგდებით და ავირგვინა და რომელიც დღეს მხნე ეწევა მუშაობას დემოკრატიულ რესპუბლიკის გასამტკიცებლად. გარეშე პირობებში, რუსეთის სახელმწიფოს დანგრევამ დღეს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატია აიძულა ცალკე პარტია დაეარსებინა, მაგრამ მას ერთი წამითაც არ გაუწყვეტია იდეური კავშირი რუსეთის ამხანაგებთან. აი ეს პარტიაა მეც ნომრის სიით რომ გამოდის. სომეხების ნაციონალურ საბჭოს არჩევნებში „საქართველოს სოც.-დემოკრატიის“ წინააღმდეგ.

რატია ეწოდება მას. მაგრამ იგი არ არის მხოლოდ ქართველების პარტია. თავის რიგებში იგი თავს უყრის ყველა ერების მუშებს, რომლებიც კი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრებენ, განურჩევლად ეროვნებისა. ეს პარტია წმინდა ინტერნაციონალურია. მასში ერთნაირად სასურველია როგორც ქართველი, ისე სომეხი, მუსულმანი, რუსი, ოსი, ბერძენი, ებრაელი, გერმანელი და სხვ.

ეს არის ერთადერთი პარტია, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელის ტარება შეუძლიან ჩვენში. ის პარტია კი, რომელიც № 1 სიით გამოდის, ცრუ-სოციალ-დემოკრატიულია. იმედია ეს სახელი (სომეხ დემოკრატიას შეცდომაში არ შეიყვანს და მომავალ არჩევნებში იგი ჩაუტდება თვით კენჭს № 2-ს, შავს კენჭს № 1-ს.

პრესა

„შახტავორი“ (№ 140) განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ იმ რეპრესიებს, რომელსაც იძულებით მიმართავს ხოლმე ზოგჯერ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, ეროვნულ დევნის ხასიათი აქვს, მეტადრე სომეხების წინააღმდეგ.

„დვენას შულავრის ოლქში მახსიური ხასიათი აქვს. განსაკუთრებით სომეხებით დასახლებულ ადგილებში. როცა დვენის ეროვნულ ხასიათს არა თუ არ უარყოფენ, არამედ—ამტკიცებენ კიდევ ქართული ბევრი განხეთქილი, ამ დროს ჩვენ უფლება გვაქვს ვუბნახოთ „ერთობას“ დაბ, ეგ დვენაა, დვენა ეროვნული და ადრევე განზრახული, რომელიც სისრულეში მოჰყავთ მეტად უხეში ფორმებით.“

ვთქვათ, რომ „შახტავორი“ მართლაც ამბობს და დღევანდელ პირობებში შულავრის მხარეში მეტი რეპრესიები იყოს საჭირო, ვიდრე სხვაგან. მაგრამ იყო ისეთი დროც, როდესაც ეს რეპრესიები, მაგ., დუშეთის მხარეს ან ლეჩხუმის, ან ზუგდიდის ქართულ მცხოვრების წინააღმდეგ იყო ხმარებული. რატომ მაშინ არ სტიქდა ალიაქოზის „შახტავორი“? იმიტომ, რომ იგი დინტერესებულია ეროვნული დვენის ხასიათი მოახვიოს თავს ჩვენს რესპუბლიკას და მის მიერ წარმოებულ დემოკრატიულ წესიერების აღდენისათვის ბრძოლას ნაციონალური ბეჭედი დააკრას. დაშინაკვანები შულავრის მცხოვრებლებს თითონვე ამხედრებენ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ და როდესაც რესპუბლიკა იძულებული ხდება წესიერების დასამყარებლათ რაიმე ზომებს მიმართოს, „შახტავორი“ ქვეყნას აყრუებს: „არჩქათ, სომეხს სდევნიანო“.

„სახალხო საქმე“ რომდენინე წერილი უძღვნა ომში მომხდარ ინციდენტს. ერთ წერილში სახალხო გვარდია გაათრია, მეორეში—ს.დ. პარტია და სხვ.

და ეს ჩაიდინა ამ გაზეთმა არჩარებით, საქმესთან გაუცნობლათ. ახლა, როცა ვითარება გამოირკვა, სწერს: „ჩვენ ასე არ ავიჩარდებით, წუთიერი ანოპილებით არ გადაგსწყვეტ ასეთ მნიშვნელოვან საკითხსო.“ (№ 576).

სახალხო გვარდიას დახმარებისთვის მიმართა ადმინისტრაციამ, როცა ამ უკანასკნელს სთანადო ქალა არ შესწევდა.

გამომძიებელი ალ. ჯაფარიძე ადმინისტრაციის საქმეებში ჩაერთა: ზეპირად, ადმინისტრაციისაგან ოფიციალურად ქალაღდის მიუღებლათ დაპატიმრებულთა „საქმე გამოიძია“ და ისინი განათავისუფლდა. განთავისუფლებული დამაშავენი გვარდიელბმა კვლავ ციხეში ჩამწყვდირეს და გამოძიებელს ჰკითხეს, რაში იყო საქმე.

ეს საქმე გამოიძია პროკურორმა და სახალხო გვარდიელები გახმართლა. ასე დგას ამ ფაქტს საკითხი. ჩვენ ვიკითრომ ამ საქმეში მართალია აღმოჩნდენ გვარდიელები, ვინმე ალბათ არის დამნაშავე, ეს საკუთრივანტები არიან თუ გამოძიებელი, ჩვენ ამას არ ვცხებთ.

ლეს

საფრანგეთ-ამერიკის შორის დადებული ხელშეკრულება მიმართულია იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც საფრანგეთს მოვლის გერმანიისგან.

პარიზში 14 ივლისს დიდის ამბით გადაიხადეს გამარჯვების დღესასწაული.

ბერლინში ფრანგი ჯარისკაცი მოკლეს. სწარმოებს გამოძიება.

სტამბოლში ჩაიყვანეს გერმანიაში დაპატიმრებული ენვერ ფაშა. მასთან ერთად მოკავშირეთა მოთხოვნით დაპატიმრებული არიან თალათ ფაშა და ახალგაზრდა ოსმალი პარტიის რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე.

სტამბოლიდან გააძევეს გერმანიის, ავსტრიის და ბულგარეთის ქვეშევრდომები.

სამჭოთა ჯარმა ეკატერინბურგი აიღო და ციხის სახლგარს უახლოვდება.

ჩვენს ვაზეთში მოთავსებული რაქველი მუშის წერილით უარყოფილი იყო გვარდიელების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება. და რომ მეტი დასაბუთება ჰქონოდა თან ამ უარყოფას, მოყვანილი იყო პროკურორის აზრიც.

როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში „სახალხო საქმე“?

ის რომე-ყოფის მოედო. გვარდია თავის საქმეს უნდა აკეთებდეს და სხ. „ერთობის“ თანამშრომლის საუბარი პროკურორთან საბუთოდ არ მივიჩნევთ. კეთილი. მაგრამ თქვენც ხომ შეგეძლოთ იმავე პროკურორთან საუბარი? ხომ შეგეძლოთ გამოძიებული საქმის გადათვალთვალება? რატომ აჩქარდით?

ჩვენ კიდევ იმავეს ვიმეორებთ, რაც ვსთქვით: „სახალხო საქმე“ უნდა უარყოს. უსაბუთოდ წამოყენებული ბრალდება—სულ ერთია: აჩქარებით მოიპოვებდნენ ამას ის, თუ აუჩქარებლათ, დინჯათ.

უკანასკნელი ცნობები

ბ რ მ მ ა ნ ი.

სომხეთის წარმომადგენელი კოლჩაკის მთავრობასთან.

სომხეთის მთავრობამ თავის წარმომადგენელად ადმ. კოლჩაკის მთავრობასთან დანიშნა დამოკვეი.

ბ ა ძ მ.

ასტრახანის გარშევა.

ინგლისელების ცნობით ასტრახანი გარშემორტყმულია მოხალისეთა ჯარის მიერ. გადაწყვეტილია ქალაქის დამორჩილება შიმშილის ნიადაგზე.

ლენქორანის აღება.

ბაქოში მიღებული ცნობით ლენქორანი 13 ივლისს მუსულმანების რაზმმა აიღო. ბალშევიკები ქალაქიდან გაიქცნენ.

კრასნოვოდსკთან.

კრასნოვოდსკს ბალშევიკები უტყვევენ. სანგრები ქალაქს გარეთ მოშორებულია 8—10 ვერსით. ქალაქის დამცველთა შორის ინგლისის ჯარიც არის, მაგრამ ლტოლვილების გადმოცემით ინგლისელები დარჩებიან, ვიდრე არ მოხდება კრასნოვოდსკის სრული ევაკუაცია.

დაღესტნის შეიხულ ისლამის წერილი.

ამიერ კავკასიაში მყოფ ბრიტანეთის ჯარების სარდალს, დაღესტნის შეიხულ ისლამმა მიმართა განცხადებით და სთხოვა უპასუხოს, რა ზომები მიიღო ინგლისის სარდლობამ მოხალისეთა წინააღმდეგ, რომელთაც დაარღვიეს მოკავშირეთა მთავრობის მიერ განსაზღვრული საღვთობისათვის. მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

დაგვიკმაგალი კრება

15 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ალ. სლოდაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა—კოოპერატიული ახანაგობათა და კავშირთარევისტრატეიის ვადის 1917 წ. მარტის 20-ს კანონის მოქმედების განგრძობის შესახებ და დეკრეტისა სამხედრო საქმეებისათვის 15 მილიონი მან. გადადებისა.

ი. ფირცხალაიშვილის და ი. ირემაშვილის მოხსენებებით მიხდა ზოგადი განხილვა კანონ-პროექტისა ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების შესახებ მომხსენებლებმა ფაქტებით დაამტკიცეს ასეთი სასტატისტიკო დაწესებულების დაარსების აუცილებელი საჭიროება სახელმწიფოებრივი ცხოვრების წინსვლელად — განვითარებისათვის. მუხლობრივი განხილვა შემდეგ მოხდება.

მ. რუსიას მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი დ. ონის ქალაქთ დამტკიცებისა.

ი. ჭავჭავაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს ქალაქების და სამა-

ზრო ერობათა სასარგებლოდ ერთდროული სასანიტარო გალასახადის შემოღებისა. გადასახადი დაწესებულია შემოსავლის კვალობაზე. შემდეგ დახურულ კარგში მოხდა გარჩევა კანონ-პროექტებისა სამხედრო ძალების ორგანიზაციის და რეგულიარული ჯარის რეორგანიზაციის შესახებ.

დეკრეტები

(საქართველოს დეპუტათა სააგენტო)

16 ივლისი.

გერმანული პარტიის ცნობები.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინელ მოხალისეთა კორპუსი, როგორც ამბობენ, დამარცხდა და ოლონეკის გუბერნია სრულიად დასცალა. ბალშევიკები სოფლებს სწვავენ და მცხოვრებლებს ხოცავენ.

ივლისის 14. ვეიმარში შესდგა გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა ფინანსთა მინისტრების სხდომა ზოგიერთ პრევიერების და გერმანულ ავსტრიის ელჩის მონაწილეობით. გამოიჩვენა, რომ უცხოეთის წერილებსა და დეპუტებზე კანტროლს მოხსნიან.

უკანასკნელ ცნობებით, იტალიაში სურსათის ნაკლებობით გამოწვეული არეულობა წყნარდება.

„ფორვერტს“-მა გამოაქვეყნა გერმანიის და გერმანულ ავსტრიის სტუდენტ-სოციალისტთა მოწოდება სხვა სახელმწიფოს სტუდენტებისადმი. მოწოდებაში წინადადებას აძლევენ თავისი წარმომადგენლები გაგზავნონ იმ ყრილობაზე, რომელიც ლიუცერნში შესდგება.

ბერლინში ფრანგი სერჟანტის მოკვლის გამო ოფიციალურად იუწყებიან, რომ გამოუტყვეველ მიზეზის გამო წაიხსნენ გერმანელი ჯარისკაცი და ფრანგი სერჟანტი, რომელიც უტყობმა პირმა მოკლა, როგორც ეს მოახსენეს პოლიციის უფროსს ფონ-განიელს, ის მაშინვე გაემგზავრა ესპანის ელჩთან, რომელსაც მინდობილი აქვს საფრანგეთის წარმომადგენლობა და მწუხარება განუცხადა მომხდარ ამბის გამო. საფრანგეთის ბერლინში მყოფ მისიასა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის პირდაპირი ურთიერთობა ჯერ აღდგენილი არ არის. გამოძიება გრძელდება. დანიშნულია 10000 მარკა ჯილდოთ იმისთვის ვინც მკვლელზე მიუთითებს.

ინგლისური პარტიის ცნობები.

ოთხთა საბჭომ დიდი ყურადღება მიაქცია ფიუემში საფრანგეთის და იტალიის ჯარისკაცთა შორის მომხდარ შეტაკებას. საქმის გამოსარკვევად გამოძიებელი კომისია დანიშნა.

აიღინოში ბერძენებმა გაიმარჯვეს. წესრიგი აღდგენილია. ოსმალებმა სამხრეთისაკენ დაიხიეს.

შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი შულტესი სოციალისტ-რადიკალების კრებაზე ენერგიულად მოითხოვდა, რომ შვეიცარია ხალხთა ლიგაში შევიდეს.

ხალხმობის ცნობები.

გოსკოში. ივლის. 15. ცუდი ამინდების გამო ცნობების მიღება გაძნელებულია... სად რუდინცასთან ბრძოლაა. ჩვენ ვოლოჩისკი დავსტოვეთ. კამენევ-პოდოლის მიმართულებით სად. იარმლიცთან ბრძოლაა. სამხრეთის ფრონტი. ეკატერინოსლავის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ეკატერინოსლავისკენ წინ წაიწია. ხარკოვის მიმართულებით ჩვენ კრასნოპუტსკი (?) დავიჭირეთ. ვორონეჟის მიმართულებით ჩვენ 300 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ ტყვეობისკენიკელები, თოფები, ტყვიები და სხ. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალსკის რაიონში მოწინააღმდეგე ჩვენი ჯარი შეავიწროვა. ურალსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 ვერ. ბრძოლაა. სტერლიტაქის რაიონში ჩვენ მონაკოვკა დავიჭირეთ. ზლატოუსტის რაიონში მტრის დევნა გრძელდება. კრასნო-უფის რაიონში ჩვენ უზაღენსკის ქარხანა დავიჭირეთ. ივლისის 14 ჩვენ ეკატერინებურგი დავიჭირეთ. კუნგურის რაიონში ჩვენი ჯარი ეკატერინებურგ-კუშნას რკინის გზაზე წინ მიიწევს №-ის არმიის შტაბი. №-ის არმია მოულოცავს ამხანაგებს ეკატერინობურგის აღებას. ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკის ჯარი. გამარჯვებულნი შევედით ურალში, ციხის სახლგარეშს დაუახლოვდით და მტრის დევნას განვაგრძობთ. გაუმარჯოს ხალხის ბელადებს ლენინს და ტროცკის. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას. ლიონი. ივლის. 1. პარიზში შესდგა გამარჯვების დიდი დღესასწაული. რაზმები, რომელიც მოკავშირე და შეთანხმებულ სახელმწიფოთა ჯარებისაგან შესდგებოდა და საფრანგეთის ჯარმა ზემოთ გაიარა მაიოს კარებიდან რესპუბლიკის მოედანამდე. ნიკოლაევი, ივლის. 14. სტამბოლში ჩამოიყვანეს ახალგაზრდა ოსმალი მეთაური ყოფილი სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა, რო-

ელიც გერმანიის მთავრობამ, მოკავშირეთა მოთხოვნით გასცა, ენვერს სახელმწიფოებრივ ბოროტ-მოქმედებას აბრალდეს, ოსმალეთის ომში ჩარევას მას აბრალდებენ. ენვერის გარდა დაპატიმრებულია თალათ-ფაშა და რამდენიმე თვალსაჩინო ახალგაზრდა ოსმალი. სტამბოლიდან გერმანიის, ავსტრიის და ბულგარეთის ქვეშევრდომები გადასახლეს. ჰელსინგფორსი, ივლ. 12. ჰავასის სააგენტო იუწყება იმ შეთანხმების ტექსტს, რომელიც შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთის შორის დაიდო. ისეთია, როგორიც ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებისა, და ძალაში შედის მისი რატიფიკაციის დღიდან, შეთანხმების ხალხთა ლიგის გადარსებამდე განსაზღვრულად და ლიგის მიერ აღიარების შემდეგ შევა ძალაში. შეთანხმება შემდეგ გადაეცემა საფრანგეთის პარლამენტს და შეერთებული შტატების პარლამენტს დასამტკიცებლათ. ლიონი. ივლ. 14. შვიდ ისლამმა დიდ ვეზირს შეკითხვით მიმართა, მოკავშირეთა განზრახვის შესახებ, რომ სულთანმა სტამბოლიდან გადასახლდეს. ოსმალეთის სამღვდლოების უფროსმა განაცხადა, რომ სტამბოლიდან ხალიფის გადასახლება მთელ ოსმალურ ალმფოთებას გამოიწვევს. სულთანის გადასახლების ინიციატივა ბერძენებიდან გამომდინარეობს და მსოფლიო პატრიარქატ უტყობს მხარს. შეიხ-ულ-ისლამი აცხადებს, რომ სულთანის მეორე ადგილზე გადასახლების ნებას არ მისცემს და არ აკურთხებს. სამღვდლოების უფროსის მიმართვა მოკავშირეების ელჩებს გადასცეს. ნიკოლაევი, ივლისის 13. პალესტინაში ინგლისის პროტექტორატით დაარსდა დროებითი მმართველობა, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა დაეკისრა მანდელშტამს. პალესტინის მართველობის წარმომადგენლები, ებრაელების და მანდელშტამის მეთაურობით პარიზში არიან. სტამბოლში მოვიდა საგანგებო კომისია, რომელიც საზავო კონფერენციამ გაგზავნა ოსმალეთის შინაური მდგომარეობის გამოსარკვევად. ჰლსინგფორსი. ივლისის 11. „დიდი ჰეროლის“ ცნობით, მეორე ინტერნაციონალის აღმას. კომიტეტმა დაადგინა ლიუცერნში საერთაშორისო კონგრესის მოწვევა-კონგრესი საერთაშორისო მდგომარეობაზე და საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს დაარსების შესახებ ითათბირებს, დაადგინეს სათათბიროდ დასვან საკითხი რუსეთში და გერმანიაში გამომცდელ კომისიის გაგზავნის შესახებ.

ახალი აზებები

წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოდ ქართულ კლუბში გამართულ სეირნობიდან შემოვიდა 49,000 მან. აქედან 7,000 მან. წითელ ჯგერის სასარგებლოდ იქნა გადადებული. წმინდა მოგება საზოგადოებას დარჩა 30,000 მანეთად.

ლტოლვილები. გუშინ თფილისიდან ახალქალაქიდან მახრაში გაიგზავნა უკანასკნელი მატარებელი სომხთა ლტოლვილებით.

ფრონტის დღეები. ახანაგებო! 19 და 20 ივლისის იმართება თფილისში და მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ფრონტის დღეები. ახალგაზრდობამ მთელი თავისი ენერგიით უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ დღეების სათანადო მოწყობაში. მოწაფეთა ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოწაფეებს მიიღოს მასში მხურვავე მონაწილეობა. მუშაობა ამ მხრით უკვე დაწყებულია ყველა მსურველს ფრონტის დღეების მოწყობაში სთხოვს ცენტრ. კომ. მიმართოს დღეს ხელშემათს, ცენტრალურ კომიტეტის ბიუროში 5 ს.—7 ს. მოწაფეთა ცენტრ. კომიტეტი.

ახალგაზრდათა სახლი. ივლისის ბოლოს თფილისის გიმნაზიების ერთ ერთ შენობაში გაიხსნება ახალგაზრდათა სახლი. ცნობების მიღება შეიძლება ცენტრ. მოწ. კომ. ბიუროში, რეალურ სასწავლებლის შენობაში, ყოველ დღე 5 საათ. 7 ს., სადაც აგრეთვე ახალგაზრდათა სახლის ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულობა.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ფაჩულიამ განკარგულება გასცა, რომლის ძალით ის მილიციონერი, რომელიც მთავარი სამსახურში გამოცხადდება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში და სამსახურიდანაც დათხოვნილი.

სტუდენტების გამგზავრება რუსეთში. სდგება პირველი ჯგუფი სამხრეთ რუსეთში წამსვლელ სტუდენტებისა. ჩაწერა შეიძლება სტ. კარაპეტაიანთან ყოველ დღე (თეატრალური შესახვევი 13).

ლტოლვილთა დამხმარე ამერიკელთა კომიტეტის თფილისის განყოფილების ინსპექტორი კომიტეტის სახელით მადლობას უცხადებს სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ფაჩულიას, შემოხსენებულ კომიტეტის ქონე-

ბას გამფლანგველ პლავსკის საქმის გამოძიების კეთილ სინდისიერათ დამთავრებისათვის. — სახ. გვარდიელთა საწინააღმდეგო კრება. დღეს, 17 ივლისს კალამოს სააგენტო კრებულის პარკში შესდგება საზოგადოებრივი სადგურის (ტრამვაის) რაიონის სახ. გვარდიელთა. დღის წესრიგი: შტაბის ახალი არჩევნები და სარევიზო კომისიის მოხსენება. — დაპატიმრება. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ა. ჯანიშანიევი, რომელსაც სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებანი ბრალდება. — კ რ მ მ ა ნ ი დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს სოც.-დემ. პ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის, მცირე კოლექტივის და ქალთა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება — დღეს საღამო 6 ს. მე-5 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. ბიუროს ბინაზე დანიშნულია ამავე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა. — დღეს 17 ივლისს დანიშნულია ჩვეულებრივი კრება მეხუთე რაიონული კოლექტივისა.

ფრონტის ღვა

თფილისში არსებულ ყველა დემოკრატიულ დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შემდგარ საერთო კრებამ დაადგინა, რათა 19 და 20 ივლისს თფილისში მოეწყო ფრონტის დღეები.

რაც შეიძლება დიდებულათა და მიზნის შესაფერისათ უნდა ჩატარდეს ეს მნიშვნელოვანი დღეები.

შეგნულ რეაქციის საფრთხე ჯერ არ მოგვიშორებია და ჩვენი ხსნა გვერთინებულ ფრონტის შექმნაშია. თუ ჩვენი ცხოვრება, ფიზიკური არსებობა და რევოლუციის მონაპოვარნი დღემდის უზრუნველყოფილია, ეს ჩვენი შეგნებისა და მუხანათ მტრის წინააღმდეგ მღვმ, ჩვენი საუკეთესო შეილთა თავგანწირულ ბრძოლის მეოხებითაა.

მთელი ჩვენი ქვეყანა ერთ მთლიან ფრონტს უნდა წარმოადგენდეს; ზურგი ფრონტს უნდა დაუკავშირდეს.

მან უნდა დაამტკიცოს მებრძოლთაღმი თანაგრძნობა და სიყვარული. თფილისი ამ დღეების სამზადისშია.

ჩვენი დამოუკიდებლობის დამცველთ ეგზავნება საქირო ნივთები, ფრონტისადმი ყურადღება იზრდება, რათა შინაურმა და გარეშე მტრებმა ნათლად დაინახონ, რომ ჩვენ ერთი საქმე, ერთი მისწრაფება გვაქვს.

ეს დღეები არა მარტო მალერიალურის მხრით არის საინტერესო, არამედ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

რომ საგნებით დიდებული იყოს ეს დღეები, ფრონტის დღის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს რესპუბლიკანურ სამშობლოს ყველა კუთხეს, რომ ის გამოეხმებუროს ცენტრს და ყოველგან მოაწიროს ამ დღის აღნიშვნა ადგილობრივი ძალების მიხედვით. ჩვენი ქვეყნის პროვინციის არც ერთი ნაწილი არ უნდა დარჩეს, რომ გამონაკლისს შეადგენდეს ამ საერთო ფერხულში, სადაც რისიმე გამართვა არ შეიძლება იქ ფული უნდა შეიკრიბოს.

ვინაიდან ზაფხულის გამო თფილისიდან გვიდა საქმარო რიცხვი კულტურულ ძალებისა და გაემწურნენ პროვინციისაკენ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პროვინციები ღირსშესანიშნავათ შეგვდებიან ამ დღეებს და მით დაამტკიცებენ, რომ ჩვენმა დემოკრატიამ იცის არა მარტო გემო თავისუფლებისა, არამედ მისი დაცვა შეუძლია.


რაც უნდა უმნიშვნელო იყოს შედეგი ამ დღეებში გამართულ სხვადასხვა გასართობებთან, იჩქარეთ გამოგზავნით შედეგის მისამართით: თფილისი, რუსთაველის ქუჩა სახლი არაფელოვისა № 24.

ფრონტის დღის მომწყობი მთავარი კომიტეტი.

უცხოეთი

შეიქმნა მთავრობის გადადგომა.

„ტიმისის“ 21 ივნისის ნომერში დაწვრილებით არის მოყვანილი ცნობები შეიქმნის გადადგომის შესახებ და სხვადასხვა პარტიათა შეხედულება საზავო ხელშეკრულებზე. საზავო პირობებზე ხელის მოწერის გამო აუცილებელი გახდა სამინისტროს კრიზისი. პრემიერის ადგილზე კანდიდატებთ დასახელებულ იყვნენ ნოსკე, მულერი, ერცბერგი. ვეიმარში მთავრობის წინააღმდეგ რეაქციონურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. ოფიცრობა მთავრობის წინააღმდეგ იყო განწყობილი და სოციალისტურ ორგანიზაციებში ეწერებოდნენ იმ მიზნით, რომ მუშათა კლასში გამოეწვიოთ ექსცესები და ამით საშუალება მისცემოდათ ჩაგვლოთ ხელში ძალა-უფლებებრივად ფრანტაუ და სხვა დელეგატების



მოთხოვნები, რომ გერმანიის მოეწერა ხელი საზოგადოებრივ, დემოკრატიულ და პანგერმანიანურ წინააღმდეგ იყენებენ ზავზე ხელის მოწერის. პანგერმანიანურ სურთ მდგომარეობით ისარგებლონ და კონტრ-რევოლუციონური გამოხატვები მოაწყონ. შეიქმნის კაბინეტმა 19 ივლისს გადასწყვიტა არ მოაწეროს ხელი საზოგადოებრივ და გადადგეს. ცენტრის პარტია დასთანხმდა საზოგადოებრივ ხელის მოწერას მხოლოდ სამი პირობის შემთხვევაში: გერმანიამ მარტო თავის თავზე არ უნდა იღოს ომის პასუხისმგებლობა, 2) კაბინეტი არ უნდა მისცენ მოკავშირეებს, 3) უნდა განეცხადოს მოკავშირეებს, რომ შეუძლებელია ასრულებულ იქნას ეფონოშიური პირობები გელსერსის. დემოკრატების კონფერენციამ ვაიზარეს ცენტრის მიერ გამოქვეყნებული პირობები. მთავრობის უმრავლესობა მიემხრო დემოკრატების აზრს, მაგრამ სოციალისტების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა მთავრობას და უკანასკნელი აიძულა გადადგარიყო.

გერმანიის დამხმარე კომიტეტის სოფლად

სოქის ფონტზე მყოფი გერმანიის დამხმარე კომიტეტი და გვარდიის მთავარ შტაბის გადაწყვეტილების თანახმად, მე შემოვიარე ორი მაზრა—სიღნაღის და თელავის.

ჩემს მოვალეობას შეადგენდა გვარდიის მოხელეების დახმარება. ფონტზე მდგომარეობის გერმანიის შესატყულებლად და მეომართა დამხმარე კომიტეტების მოწყობა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული დავალებები სასურველად იქნა შესრულებული, რაც მოწივებს მას, რომ ჩვენი გლეხკაცობა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს წლის მოსავალი კარზედ აქვს მომდგარი და მუშა ხელი ძვირად ფასობს, სოფელი მაინც არ იშურებს არც ფიზიკურ ძალას და არც სულიერ დენიკონთან საბოლოოდ.

გვარდიელთა ლაშქარი უკვე წავიდა ფონტზე, დარჩენილები კი შეუდგნენ მათი სარჩოს მოვლას.

სიღნაღის და თელავის ეროვნულ დაარსებასა და სამხრო ცენტრალური გერმანიის დამხმარე კომიტეტები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწივეს სოფლად უკვე დაარსებულ კომიტეტებს.

სასოფლო დამხმარე კომიტეტები, მოეწყვნენ წვრილ ერთეულებთან, რომელნიც მუშაობენ წასულ მეომართა მოსავალს.

გაიმართა ბევრჯან სასოფლო დიდი მიტინგები: ძველ გავაზში, ნაფარულში და სხვაგან, სადაც ესწრაობოდნენ სხვადასხვა სოფლის გლეხკაცობა და ფიცა სდებდნენ, რომ ომში წასულთა არაფერს გაუჭირებოდა და თუ საჭირო იქნება, ჩვენი წავალოთ, დახმარებას ხელს უწყობს ის უხვი მოსავალი ყანისა, რომელიც დიდი ხანია არ უნახავს კახეთს.

საჭიროა ასეთივე კომიტეტები მოეწყოს ყველა მაზრებში და სოფლებში.

დახმარება გაამხმარებენ ჩვენს მეომრებს და გაუადვილებს მტერთან ბრძოლას.

სოხი მაკავარიანი.

და და დისციპლინა. ჩვენი სურვილია გამგებობაში ისეთები აირჩეს, რომელნიც; ერთის მხრივ დაცვაზე რა მუშათა ინტერესებს—თავის პირდაპირ დაწინაურებას—ამასთანავე თავის მოქმედება მათ უნდა შეუფარდოს იმ წესწყობილებას და მდგომარეობას, რომელშია ცხელი ჩვენი ვიმყოფებით. და ჩვენ ვამბობთ, რომ მხოლოდ ასეთ გამგებობას შეუძლია ჩვენი კავშირში ადგილი არა აქვს, იგი ვერ იბოვინებს—ასეთია შეხედულება ჩვენი კავშირის წევრებისა.

შემო აღნიშნულ ჯგუფის მოთხოვნებზე—გამგებობის ახალ არჩევნების საკითხის დასამ—წევრები ერთგვარი გათიშვა უკვე გამოიწვია. ამ კრებას, სხვათა შორის, დაესწრო თფ. გუბერნიის შრომის კომისარი ახმ. ელბაქიანი და ამ მოვლენას მან შესაფერი ყურადღება მიაქცია. 14 ივლისს ახმ. ელბაქიანმა ორივე მიმდინარეობიდან მოიწვია ახმანაგები და მის მონაწილეობით მოხდა ერთგვარი შეთანხმება: შემუშავებულ იქნა გამგებობის წევრთა ერთი სია.

და ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ შეთანხმებას. ძალა—ერთობაშია—ნათქვამია და ვინც ამ შეთანხმებას და ამ ძალას გაემკვივა—იგი სასტიკად უნდა იქნას დევნილი.

მ. თამაზაშვილი.

მე 3 სითი, რომელიც გამოდიოდა ყოველთვის № 1-ლით არის საქართველოს სახელმწიფო. მუშათა პარ. სომხეთი სექცია. ეს პარტია არის ინტერნაციონალური პარტია, სადაც თავს იყრის ყველა ის ელემენტები, გააფორმებული ეროვნებისა, რომლებსაც მიზნით დაუსახავთ ყველა ერის მშრომელი ხალხის შეერთება, მათ შორის სოლიდარობის გამტკიცება და ასე, საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ძალ-ღონით შეტევა საუკეთესო მომავლის მოსაპოვებლად.

არც ერთ პარტიას დემოკრატიის წინაშე თავის მოვალეობა ისე მტკიცედ და პირნათლად არ აუსრულებია, როგორც საქ. სოც. დემ. პარ., რომლის ფაქტებიც რამდენიც გებავთ იმდენია.

საქ. ს. დ. მ. პ. თავისი 30 წლის თავგანწირული მუშაობით და სწორე ტაქტიკით განავითარა საქ. დემოკრატია, რომელმაც თავისი კლასობრივი განვითარებით შესძლო ყველა თავისი მოწინააღმდეგე კლასების დამარცხება და საქართველოს სახელმწიფო მართველობას თავისი ნდობით აღჭურვილი პირები ჩაუყენა.

ეს პარტია აფასებს ხალხის სიცოცხლეს და ანგარიშს უწყევს მის კირ-ვარაშს. არაერთხელ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის წყალობით გადარჩა საქართველოს დემოკრატია ფიზიკურ განადგურებისაგან, და ამავე პარტიას მიეწერება ის, რომ საქართველომ შეინარჩუნა რუსეთის რევოლუციის მონაპოვარი.

ვის უნდა მისცეს ხმა საქართველოში მცხოვრებმა სომხის დემოკრატია? ცხადია, საქ. ს. დ. მ. პ. სომხეთი სექციის სიას № 3.

თ. მირიანიანი.

სომხეთი პარტიის საბჭოს არჩევნები

(სომხეთის დემოკრატიის საყურადღებო).

მოქალაქენო! 20 ივლისს მოხდება საქართველოს სომხეთი ეროვნული საბჭოს არჩევნები. თუ რომელი პარტია გაიმარჯვებს, ამ არჩევნებში ამას დიდი მნიშვნელობა ექნება სომხეთის დემოკრატიისათვის. ამიტომაც ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა მოვუქცეთ ამ არჩევნებს და ყოველივე გავითვალისწინოთ.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლეთ გვეცნოთ არჩევნებში მონაწილეობის მიმდებარეების სულის კვებებას.

ამ არჩევნებში № 1 სითი ესერებთან ბლოკით მოგვევლინა რ. ს. დ. მ. პ. ეს პარტია დღეს საქართველოში რას წარმოადგენს და ან რა მიზანს ისახავს, ეს ჩვენ ვერ გავგვიგა, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ეს პარტია არ არის მტკიცე ნიადაგზე დამყარებული და მაშასადამე, არც დიდი ხნის ბორჯი აქვს მას და ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ.

№ 2 სია სომხური სახალხო პარტია (კაბეტები) ამ პარტიის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ეს პარტია აღერე ჩამოყალიბებულიყო უკეთესი იქნებოდა სომხეთის დემოკრატიისათვის, ვინაიდან მას საქმე ექნებოდა ნამდვილ თავის მოწინააღმდეგე კლასთან და არა ნიღბ აფარებულ და შინაკუთხუნის პარტიასთან.

ესეა ცხადია, სომხის ბურჟუაზიას ჰყავს თავისი იდეოლოგია და მაშასადამე, ის თავის ნამდვილ ინტერესების დამცველ პარტიას ამოუდგება გვერდში.

№ 4 სითი სომხური რევოლუციონური პარტ. დაშნაკუთხუნია. ეს პარტია დღემდე სომხის ერში გაბატონებულ პარტიით ითვლებოდა, რომლის ტერორმა იქამდე მიყვანა საქმე, რომ თუ იყავი სომეხი, უნდა ყოფილიყავი დაშნაკელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოგელოდათ ტერორი, რომლის ფაქტებით სავსეა დაშნაკელების შავი წიგნი. თუნდა მოვიგონოთ ქუთაისში 1906 წ. დეკანოზ იოსებ ამირალიანის ვერაგული მოკვლა დაშნაკელებისაგან, მხოლოდ იმტომ, რომ ის არ იზიარებდა დაშნაკელების მოძღვრებას.

დაშნაკუთხუნის პარტია, ეს არის პარტია ნგრევა-რღვევის, მტრობა - შურის მთესვის და ქლუბ-ხოცვის რომლის ტაქტიკის წყალობითაც სომხეთი მიიყვანა უსომხობაზედ გამუდმებულ სომეხ-თათართა დემოკრატიის შორის უღელტა-ხოცვით.

დაშნაკელებმა თავისი მრწამსი საქართველოშია გადმონერგეს, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ აქ ნიადაგი ვერ მოიპოვეს. 1905 წელი, თფლისში უნივერსიტეტის შენობის აგების ისტორია, სომეხ-ქართველთა შორის მომხდარი ომი და მრავალი სხვა მიზეზების გამო შექმნილი მდგომარეობა, რასაც შეიძლება სომეხ-ქართველთა ხოცვა-ჭლეტა გამოეწვია, ძირშივე ჩაკლული იქნა საქართველოს დემოკრატიისაგან და ჩვენს თვალს არ უხილავს ის შემადრწუნებელი და გულის შეშხარავი სურათები—ძმობა შორის უღელტა-ხოცვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომეხ-თათართა შორის.

ყველა ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს დემოკრატიის ვერავინ გაიხდის თავის ბრმა იარაღად და ის თავის საქმეებს თვით აკეთებს.

გათიშვა თუ შეაერთა

(ბეტდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრების გამო).

13 ივლისს მოხდა აღნიშნულ კავშირის მუშათა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო ფრიად საყურადღებო კითხვები, მაგალითად: ტარიფი და სატარიფო პალატა, სალიკვიდაცია ფულების შესახებ, არჩევნები თფ. მუშათა საბჭოს წარმომადგენლებისა და სარევიზიო კომისიის. ყველა ამ კითხვების გადაჭრა ამ დღეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მაგრამ კრების გახსნისთანავე ერთი ჯგუფისაგან შემოდის წინადადება რომ მოხდეს გამგებობის ხელ-ახალი არჩევნები. ამ საკითხმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია. და მართლაც, სულ 3 თვეა, რაც ახალი გამგებობა აირჩა. ისტორია, ამხანაგებს ახსოვთ ამ არჩევნების ისტორია. ჩვენს კავშირის წევრთა შორის არის ორი მიმდინარეობა და ეს მიმდინარეობანი სამი თვის წინათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ, არჩევნებში გასამარჯვებლად, როგორც ვიცით არჩევნებში გამარჯვება დარჩა იმ მიმდინარეობას, რომელსაც კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა მისდევს. ახალ გამგებობაში მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლებიც მოხდნენ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი სიტყვიერი პირობა გექონდა დადებული ამ არჩევნების შედეგების დამორჩილებისა, მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლები გამგებობას გამოეთიშნენ—კრებებზე აღარ დაიარებოდნენ და არა თუ ახალ გამგებობას ეხმარებოდნენ,—ხელსაც კი უშლიდნენ მუშაობაში და სახელს უტეხდნენ.

და აი, სწორედ ამ მიმდინარეობამ 13 ივლისის კრებაზე მოისურვა გამგებობის არჩევნების საკითხის დასმა. აქ აღსანიშნავია ის, რომ სწორედ ისინი, რომელნიც ახალ არჩევნებს მოითხოვენ, უკვე არჩულნი იყვნენ ძველ გამგებობაში, მაგრამ, სჩანს, ეს გამგებობა მათ არ მოსწონთ, რადგან ისინი უმცირესობაში იყვნენ.

აქარაა ასეთი პირები გათიშვის მეტს ვერაფერს გააკეთებენ. ისინი წმინდაფრაქციულ პარტიულ მუშაობას აწარმოებენ კავშირში და ასე ამ გვარად მუშებში არეც-დარევა შეაქვთ.

ჩვენ ყოველთვის შეთანხმების, თანაშრომ-შრომლობის გზას ვადგევართ და წინადაც და ახლაც ამას ვსცილობთ, რომ კავშირის წევრებს შორის იყოს სოლიდარობა, თანხმო-

სადაღი - გაგულ რეფორმა

(თფლისის ქალაქის გამგებობის მოხსენება).

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ წინადადებით მიმართა რესპუბლიკის ქალაქების თვითმართველობებს ანკეტის სახით წარედგინათ მათ სამინისტროსათვის თავიანთი მოსაზრებანი აგარულ რეფორმის განხორციელების შესახებ ქალაქებში.

სამინისტრო საანკეტო კითხვებში ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ ქალაქებში აგარულ რეფორმის განხორციელების შესაფერი ფორმა იქნება ჩამორთმევა მიწების განსაზღვრულ ნორმაზე ზევით. ამის მიხედვით არის შედგენილი საანკეტო ფურცლები.

ქალაქის გამგებობა ფიქრობს, რომ სადაღი მამულო რეფორმის კითხვა ქალაქებში უკვე მომწიფებულია და მისი დაუყოვნებლივი განხორციელება საჭიროა.

1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტით და 1918 წლის 7 მარტის კანონით კერძო მესაკუთრეთა მამულები სოფლად განსაზღვრულ ნორმის ზევით ჩამორთმეულია. ხელუხლებია მიწის დიდი ნაჭრები ქალაქებში, რაიც საპარტილიან გულის წყრომას იწვევს სოფლის მცხოვრებლებში, რომელთაც ნორმის ზევით მამულები ჩამოერთვათ. განსაკუთრებით საპარტილიანი არის ასეთი გულისწყრომა ახლად შექმნილ ქალაქების შესახებ, რომელთა მცხოვრებლების დიდი ნაწილი დღესაც სოფლის მეურნეობას აწარმოებს. ეს უკანასკნელი ხელოვნურად გაუსხლტდნენ აგარულ რეფორმას. ამას შედეგად მოყვა ის გარემოება, რომ პატარა ქალაქებში არიან მესაკუთრენი, რომელთაც მამული ნაწილობრივ ჩამოერთმევათ, რადგან იგი იმყოფებოდა ქალაქ გარედ, ხოლო იმის მეზობლების კი, რადგან მისი მამული ქალაქის ფარგალში მოყვა, მფლობელობს მთელის მამულის ჩამოუჭრელად.

მეორე მხრივ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქები ძალიან მცირედით არიან უზრუნველყოფილნი მამულებით და ამ მხრივ მათ, მთელს მსოფლიოში, უკანასკნელი ადგილი უჭირავთ*) ქალაქების განკარგულებაში მყოფ ვოლგის ნაპირების ქალაქებში, ციმბირში—1053,—სამრეწველო გუბ.—864—ამიერ-კავკასიაში—147,—თფლისში—40 (ამ ქამად კი დაახლოებით 32 კვ. საკ).

მიწის ფონდის სიმცირე, საშუალებას უსძობს ქალაქებს განავითარონ ფართო მუნიციპალური პოლიტიკა გამწვინიერების და აღმამენებლობის საქმეში და ხელს უშლის ჯეროვანად მოაწყონ ცენტრიდან განაპირა უბნებში დასახლებას.

სამაგიეროდ, საოცრად მდიდრდებიან კერძო მესაკუთრენი, რომელთა მამულების ფასი ქალაქებში სასაბროთ იზრდება. ასე ვაზრდილი მიწის რენტა, რომელიც აღემატება რამდენიმე ათეულ და ასეულ მილიონ მამუ-

კავშირის შედეგი

ფოტის სამხედრო საზოგადო საწყობი.

მთავრობის მიერ დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ 5 ივლისს მოახდინა რევიზია ფოტის სამხედრო სასურსათო საწყობის. აღმოჩნდა შემდეგი: სურსათის მალაზიაში დაუდევრად ინახავდნენ,—სიმინდი და მარლი იატაკზე ყრია და ბლომათაც ფუქლებად იკარგება. ძველი წლების შემოსავალ-გასავლის წიგნები არ ჰქონიათ წარდგენილი კანტროლაში. 1919 წლის სურსათის შემოსავალ-გასავლის წიგნებს ძლიერ დაუდევრად აწარმოებენ. წიგნებში ბევრი ციფრები გადასწორებულია წაშლილი აღმოჩნდა. ბარათის წიგნებიდან ზოგი ფურცელი ამოხეულია. საწყობის შედამხედველთა 1918 წ. 11 მაისიდან, ყოფილა მოხელე არაშეიქმნენ, რომელსაც ბევრი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია. შეუძლებელია გამოარკვევა შემოსულ საქონლის, რადგანაც წიგნებში არაფერი არ არის აღნიშნული. სურსათი მალაზიიდან გაჰქონდათ უჩეკოთ, მაგალ. ფოტის სადგურის კომენდანტისათვის მიუციათ უბრალო ბარათის თანახმად 2 ფუთი შაქარი, 2 გირ. ჩაი და 20 გირ. საპონი. ხშირად სურსათი ვერძო პირებისათვის უძლეველი ფასით, მაგალითად, 15 მისის ფოტის ხაზინის ხაზინდრისათვის მიუყიდნიათ 1 ფუთი შაქარი, ერბო 20 გირვანჯა, 10 გირ. საპონი და სხვა. ადგილობრივ ლაზარეთის ექიმისათვის მიუყიდნიათ 20 გირ. შაქარი, 20 გირ. ზეთი, 1 ფუთი ლობიო, 4 გირ. პილპილი. ზოგიერთ ჯარის ნაწილებისათვის ხვედრზე მეტი სურსათი უძლეველია. ფოტის სამხედრო ნავთსადგურის საჭიროებისათვის გაუტანიათ საწყობიდან 12 ფუთი შაქარი ხვედრი ფული 305 მან, 20 კაბ. არაშეიქმნენ მიუღია ფული შემოსავლის წიგნებში კი არ გაუტარებია რუსების ნაციონალურ საბჭოს საკვებ პუნქტს წაუღია სანოვავე 2911 მანეთის. ეს ფული არაშეიქმნენ მიუთესებია. არაშეიქმნენ შედამხედველობის დროს. შაქარი დაკლებია საწყობს 191 ფუთი და 25 გირვანჯა. მის მოადგილე დარჩიას დაკლებია 792 ფუთი. დარჩიას მოადგილეს პოდპორუჩიკ ეფრემიძეს დაკლებია 907 ფუთი და 20 გირ. შაქარი. ამგვარად, საწყობიდან შედმეტრ შაქარი არის გატანილი სულ 1892 ფუთი. გამოირკვა, რომ არავითარი თვალყური არ უდევრებიათ საწყობისათვის, იგი ხშირად მარტო ვახტერის ხელში ყოფილა. რამდენჯერმე საწყობიდან ყალბი ბარათებით გაუტანიათ შაქარი 325 ფუთი, ზეთი 100 ფუთი, 4 ფ. საპონი, 1 ფუთი პილპილი. როდესაც საწყობიდან ყალბი მოწივებით გაეტანათ 10 ფუთი შაქარი, იქ მყოფ ხახმლმწიფო კანტროლორის სალაძეს შეეტყო ეს და მიელო სთანადო ზომები დაწინააღმდეგ აღმოსაჩინდა. მალაზიის შედამხედველს ეთხოვა სალაძესათვის საქმე შევიდომაინათ მოვავგაროთო, რაც ცხად ყოფს, რომ თვით ეფრემიძე იყო მონაწილე ბოროტ-მოქმედებისა. თუ შედმეტ დახარჯულ შაქარს 1892 ფუთს მივუმატებთ 325 ფუთ ყალბი დოკუმენტებით გატანილ შაქარს, ეს შეადგენს 2217 ფუთს.

სარევიზიო კომისიამ გამოიკვლია რა ყოველივე ეს, შეადგინა ოქმი და თავის დასკვნით წარუდგინა სამხედრო მინისტრს. სარევიზიო კომისია მოითხოვს, რომ დათხოვნილ იქნან სამსახურიდან პოდპორუჩიკი ეფრემიძე და მისი თანამშემე მაქუტაძე, გადახდეთ მათ

*) თითოეულ სულ მცხოვრებზე 1908 წ. გამოკვლევით მოდიოდა საქალაქო მიწა: 1,221 კვ. ს.

